სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/132

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2020 წ.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებზეც სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს N91/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:;**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020-2021 სასწავლო წელს პროგრამული დაფინანსების მოცულობა განისაზღროს 3,966,750.00 ლარით.
2. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წელს დასაფინანსებელი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

მშენებლობა
ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
გეოლოგია
სამთო და გეოინჟინერია
საინჟინრო გეოდეზია
საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვა
გეოინფორმატიკა
ქიმია
მეტალურგია
მასალათმცოდნეობა
სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია

მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
არქიტექტურა
მათემატიკა
საინჟინრო ფიზიკა
ბიოსამედიცინო ინჟინერია
მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ ინჟინერინგი
აგრარული ტექნოლოგიები
მევენახეობა და ენოლოგია
აგრონომია
სასურსათო ტექნოლოგია
მეცხოველეობა
ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
აგროინჟინერია
სატყეო საქმე

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე